საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ქ. თბილისი 13 აპრილი, 2021 წელი

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო და საკონკურსო კომისიების შექმნის შესახებ“ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2021 წლის 26 თებერვლის №39 ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №1

№4 ზონაში არსებული საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოების, ასევე სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისას, აღნიშნული ზონის მიმდებარედ, ქალაქ რუსთავის, გარდაბნის, მცხეთის და დუშეთის მუნიციპალიტეტებში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოების მრავალწლიანი ერთობლივი შესყიდვის შესახებ

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

1. ალექსანდრე თევდორაძე - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

სატენდერო კომისიის წევრები:

2. **გიორგი წერეთელი** - დეპარტამენტის თავმჯდომარე;
3. **ლევან კუპატაშვილი** - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;
4. **გიორგი ციბაძე** - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;
5. **სალომე წურწუმია** - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;
6. **დავით კალაძე** - დეპარტამენტის საპროექტო სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);
7. **პავლე გამყრელიძე** - დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და განვითარების პარტნიორებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);
8. **ავთანდილ კირვალიძე** - დეპარტამენტის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მართვის სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);
9. **ვაჟა ადამია** - დეპარტამენტის აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მართვის სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი).

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

1. **ნათია ცხოიძე** - დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);
2. **გოჩა მალანია** - დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე).

<u>დღის წესრიგი:</u>

№4 ზონაში არსებული საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოების, ასევე სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისას, აღნიშნული ზონის მიმდებარედ, ქალაქ რუსთავის, გარდაბნის, მცხეთის და დუშეთის მუნიციპალიტეტებში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოების მრავალწლიანი ერთობლივი შესყიდვის განხორციელების მიზნით, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის დამტკიცება.

<u>მოისმინეს:</u>

სატენდერო კომისიის აპარატმა სხდომაზე დამსწრე პირებს წარუდგინა **№4 ზონაში არსებული საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოების, ასევე სტიქიური მოვლენების შედეგების**

ლიკვიდაციისას, აღნიშნული ზონის მიმდებარედ, ქალაქ რუსთავის, გარდაბნის, მცხეთის და დუშეთის **მუნიციპალიტეტებში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოების** ერთობლივ სახელმწიფო შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის, ქალაქ რუსთავის, გარდაბნის, მცხეთის და დუშეთის მუნიციპალიტეტების შეთანხმება და მისი დანართები, ასევე, სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი და განცხადების ტექსტი.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის წევრები გაეცნენ სატენდერო კომისიის აპარატის მიწოდებულ ინფორმაციას და განიხილეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

სატენდერო კომისიის წევრებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ გარემოებებზე:

- შესყიდვის საშუალებად განისაზღვროს ერთობლივი **ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე** (NAT) **პრეისკურანტით.** ტენდერი გამოცხადდეს უახლოესი სამი სამუშაო დღის განმავლობაში;
- პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 60 059,95 ლარი (დღგ-ს ჩათვლით);
- შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულებაა – 8 697 600 (რვა მილიონ ექვსას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ექვსასი) **ლარი** (დღგ-ს ჩათვლით), საიდანაც ერთობლივი შესყიდვის განმახორციელებელ ცალკეულ შემსყიდველთან მიმართებით, სახელშეკრულებო ღირებულების ოდენობა ნაწილდება შემდეგნაირად:
  - **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი** – 8 500 000 (რვა მილიონ ხუთასი ათასი) ლარი;
  - **ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია** - 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი;
  - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია** - 40 000 (ორმოცი ათასი) ლარი;
  - **მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია** - 67 600 (სამოცდაშვიდი ათას ექვსასი) ლარი;
  - **დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია** - 40 000 (ორმოცი ათასი) ლარი.
- სამუშაოების განხორციელების ვადაა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 თვე;
- შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციის გათვალისწინებით შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა არ გამოიყენება;
- ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა განისაზღვროს სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით, ხოლო სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში გარანტიის ოდენობა განისაზღვროს - 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესაბამისი ხელშეკრულების მოქმედების ვადას და თითოეულ შემსყიდველს წარედგინოს ცალ-ცალკე, თითოეულისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული, შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულების შესაბამისად.

სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ტენდერის სავარაუდო ღირებულების, ასევე, შესასრულებელი სამუშაოების სირთულისა და მოცულობის, მიწოდების ვადისა და ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით, განისაზღვრა პრეტენდენტების გამოცდილების მიმართ ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები. ამასთან, ბაზრის კვლევისას გათვალისწინებული იქნა, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ უკვე განხორციელებული ანალოგიური შესყიდვების გამოცდილება, ასევე, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაცია. არსებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ ბაზარზე ოპერირებს მიმწოდებელთა საკმარისი რაოდენობა, რომელთაც, აქვთ შესაძლებლობა ტენდერში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში, დააკმაყოფილონ სატენდერო დოკუმენტაციით დაწესებული მოთხოვნები. პრეტენდენტების გამოცდილების მიმართ მოთხოვნებია:

- **საანგარიშო პერიოდსა და გამოცდილების არეალში, პრეტენდენტის ფაქტობრივად შესრულებული ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების ღირებულებების ჯამი უნდა იყოს არანაკლებ წინამდებარე ტენდერის სახელშეკრულებო ღირებულების 50%-სა;**
- ანალოგიური გამოცდილების არეალი – **საქართველოს ტერიტორია ან/და პირის, ვისი გამოცდილებაც წარმოდგენილია ტენდერში, რეგისტრაციის ქვეყნის ფარგლებს გარეთ სხვა ქვეყნის ტერიტორია. არარეზიდენტი პირის მიერ დაფუძნებული სუბიექტის (წარმომადგენლობა/ფილიალი) მიერ, ამავე პირის დაფუძნებული სხვა სუბიექტის (წარმომადგენლობა/ფილიალი) გამოცდილების წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ სათაო კომპანიის წერილობითი წარდგინებით (რაც ჩაითვლება სათაო კომპანიის გამოცდილებად), საიდანაც ნათლად უნდა იკვეთებოდეს გამოცდილების შინაარსი, მისი შესრულების ადგილი და შემსრულებელი;**

- საანგარიშო პერიოდი მოიცავს: 01.01.2018-დან ტენდერის გამოცხადების თარიღამდე პერიოდს;
- ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოებად დადგინდეს: **საავტომობილო გზების ან/და მასზე არსებული ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა; ან/და რეკონსტრუქცია; ან/და მოდერნიზაცია; ან/და რეაბილიტაცია; ან/და სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები; ან/და პრევენციის სამუშაოები; ან/და პერიოდული შეკეთების ან/და მიმდინარე შეკეთების სამუშაოები.**

კომისიამ ასევე განიხილა სხვა მოთხოვნები ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიმართ. დადგინდა სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, ასევე, მოთხოვნები ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის და სხვა დამატებითი პირობებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახულია თანდართულ სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების პროექტში.

სატენდერო კომისია ერთხმად დაეთანხმა ზემოაღნიშნულ პირობებს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

<u>**დაადგინეს:**</u>

1. დამტკიცდეს, **№4 ზონაში არსებული საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოების, ასევე სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისას, აღნიშნული ზონის მიმდებარედ, ქალაქ** რუსთავის, გარდაბნის, მცხეთის და დუშეთის მუნიციპალიტეტებში შემავალი ადგილობრივი **მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოების** ერთობლივი სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ჩასატარებელი ელექტრონული ტენდერის (პრეისკურანტით) სატენდერო დოკუმენტაცია და სატენდერო განცხადების პროექტი, სატენდერო კომისიის წევრების მიერ გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით და წინამდებარე ოქმზე თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად.
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს ერთობლივი ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) პრეისკურანტით გამოცხადება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

სატენდერო კომისიის თავჯდომარე:

ალექსანდრე თევდორაძე _____

სატენდერო კომისიის წევრები:

გიორგი წერეთელი _____ ლევან კუპატაშვილი _____

გიორგი ციბაძე _____ სალომე წურწუმია _____

დავით კალაძე _____ პავლე გამყრელიძე _____

ავთანდილ კირვალიძე _____ ვაჟა ადამია _____

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

ნათია ცხოიძე _____ გოჩა მალანია _____

Digitally signed by Roads Department of Georgia
Date: 2021.04.14 19:36:14 +04'00'

	შესყიდვა დასრულდება ძირითად დროში. დამატებითი რაუნდები არ გაიმართება
შესყიდვის ტიპი	ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე(NAT) პრეისკურანტით
განცხადების ნომერი	N/A
შესყიდვის სტატუსი	განცხადების პროექტი
შემსყიდველი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
შესყიდვის გამოცხადების თარიღი	
წინადადებების მიღება იწყება	02.05.2021 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	07.05.2021
დაფინანსება	2021 წლის სახსრები
პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება	60`059.95 GEL
შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულება	8`697`600.00 GEL
წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი

- 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი

- 45233142 - გზის შეკეთების სამუშაოები

შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 თვე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	600.59 GEL
გარანტიის ოდენობა	86`976 GEL
გარანტიის მოქმედების ვადა	160 დღე
დამატებითი ინფორმაცია	

№4 ზონაში არსებული საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოები, ასევე სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისას, აღნიშნული ზონის მიმდებარედ, ქალაქ რუსთავის, გარდაბნის, მცხეთის და დუშეთის მუნიციპალიტეტებში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები.
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის, ქალაქ რუსთავის, გარდაბნის, მცხეთის და დუშეთის მუნიციპალიტეტების ერთობლივი შესყიდვა.

დაფინანსება

97.7% - სახელმწიფო ბიუჯეტი

2.3% - ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი

შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

1.1 მიუთითეთ შესყიდვის ობიექტის დასახელება

№4 ზონაში არსებული საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოები, ასევე სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისას, აღნიშნული ზონის მიმდებარედ, ქალაქ რუსთავის, გარდაბნის, მცხეთის და დუშეთის მუნიციპალიტეტებში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები.

1.2 მიუთითეთ საქონლის/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

სამუშაოების აღწერა და პირობები მოცემულია: სატენდერო დოკუმენტაციის დანართიN1-ში (სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა-პრეისკურანტი), თანდართულ ტექნიკურ დავალებაში, სპეციფიკაციებსა და შესაბამის ხელშეკრულების პროექტში; ასევე, მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს ექვსი თვის ვადაში შეადგინოს და წარუდგინოს შემსყიდველს შეთანხმებული სტატისტიკური მონაცემების ნუსხა, ასევე საავტომობილო გზებზე და გზისპირა ზონებში განთავსებული გზის ინფრასტრუქტურისა და საავტომობილო გზის ნაწილების (თოვლდამცავი და ხმაურდამხშობი მოწყობილობანი, გასაჩერებელი და დასასვენებელი მოედნები და ავარიის საწინააღმდეგო ჯიბეები), მოძრაობის რეჟიმის რეგულირების ტექნიკური საშუალებების (საგზაო ნიშნები და საინფორმაციო ფარები, ზღუდარები) ნუსხა. აღნიშნული ინფორმაცია უნდა განახლდეს ფაქტიური ცვლილებების გათვალისწინებით არაუგვიანეს ყოველი მომდევნო წლის დასაწყისში.

ტექნიკური დავალება.pdf

დანართიN2-სპეციფიკაციები (გზების დეპ.).pdf

დანართიN3-სპეციფიკაციები (მუნიციპალიტეტები).pdf

1.3 ატვირთეთ ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა

დანართიN1-ხარჯთაღრიცხვა(პრეისკურანტი).xlsx

1.4 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

ხელშეკრულების გაფორმებიდან - 24 თვე, ტექნიკური დავალებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

1.5 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმებისა და წესების მიხედვით.

2. სამუშაოს შესრულების ადგილია: N4 ზონაში შემავალი საავტომობილო გზები, რომელთა ნუსხა განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N4-ის შესაბამისად; ასევე, სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისას, აღნიშნული ზონის მიმდებარედ, ქალაქ რუსთავის, გარდაბნის, მცხეთის და დუშეთის მუნიციპალიტეტებში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები, რომელთა ნუსხა განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N5-ის შესაბამისად.

1.6 მიუთითეთ შესასრულებელი სამუშაოს გონივრული საგარანტიო ვადა

შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციის გათვალისწინებით შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა არ გამოიყენება.

ტექნიკური მოთხოვნები

2.1 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან/და მწარმოებლის შესახებ?

არა

2.2 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ?

კი

2.2.1 მიუთითეთ პრეტენდენტის გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ საანგარიშო პერიოდსა და გამოცდილების არეალში, პრეტენდენტის ფაქტობრივად შესრულებული ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების ღირებულებების ჯამი უნდა იყოს არანაკლებ წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულების 50%-სა.

1.1. გამოცდილების არეალი: საქართველოს ტერიტორია ან/და პირის, ვისი გამოცდილებაც წარმოდგენილია ტენდერში, რეგისტრაციის ქვეყნის ფარგლებს გარეთ სხვა ქვეყნის ტერიტორია. არარეზიდენტი პირის მიერ დაფუძნებული სუბიექტის (წარმომადგენლობა/ფილიალი) მიერ, ამავე პირის დაფუძნებული სხვა სუბიექტის (წარმომადგენლობა/ფილიალი) გამოცდილების წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ სათაო კომპანიის წერილობითი წარდგინებით (რაც ჩაითვლება სათაო კომპანიის გამოცდილებად), საიდანაც ნათლად უნდა იკვეთებოდეს გამოცდილების შინაარსი, მისი შესრულების ადგილი და შემსრულებელი.

2. საანგარიშო პერიოდი მოიცავს 01.01.2018-დან ტენდერის გამოცხადების თარიღამდე პერიოდს;

3. ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოებს მიეკუთვნება: საავტომობილო გზების ან/და მასზე არსებული ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა; ან/და რეკონსტრუქცია; ან/და მოდერნიზაცია; ან/და რეაბილიტაცია; ან/და სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები; ან/და პრევენციის სამუშაოები; ან/და პერიოდული შეკეთების ან/და მიმდინარე შეკეთების სამუშაოები;

4. საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად შესრულებული ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების თაობაზე პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია:

4.1. პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებების ასლები, შესაბამისი სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (სამუშაოების შესრულების აქტი (მაგ.ფორმაN2), ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა, ან/და სამუშაოების დასრულების/შესრულების სერტიფიკატები ან/და დადასტურებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები).

ამასთან:
ა) სამუშაოებზე, რომლებიც შესრულებულია საქართველოს ტერიტორიაზე და დამკვეთს წარმოადგენს კერძო სამართლის სუბიექტი (არა შესყიდველი ორგანიზაციები), პრეტენდენტმა, დამატებით უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დადასტურებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები;
ბ) სამუშაოებზე, რომლებიც შესრულებულია ერთობლივად, ამხანაგობის (ან სხვა მსგავსი გაერთიანების - ერთობლივი საწარმო, კონსორციუმი და სხვა) მიერ, პრეტენდენტმა ასევე უნდა წარმოადგინოს ამხანაგობის (ან სხვა მსგავსი გაერთიანების - ერთობლივი საწარმო, კონსორციუმი და სხვა) მონაწილეების უფლებამოსილი პირების მიერ დამოწმებული დოკუმენტი, სადაც მითითებული იქნება, თუ რა ღირებულების სამუშაოები შეასრულეს ამხანაგობის (ან სხვა მსგავსი გაერთიანების - ერთობლივი საწარმო, კონსორციუმი და სხვა) მონაწილეებმა ცალ-ცალკე, აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში.

4.2. იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო დოკუმენტაციის 4.1 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციით ვერ ხერხდება სამუშაოების შინაარსის იდენტიფიცირება, შემსყიდველი უფლებამოსილია პრეტენდენტს დამატებით მოსთხოვოს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების

დამადასტურებელი დოკუმენტის - ფორმა N2-ის (ან ანალოგიური ტიპის დოკუმენტის, საიდანაც შესაძლებელია სამუშაოების შინაარსისა და ღირებულებების იდენტიფიცირება) წარმოდგენა, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს დამკვეთის ან/და მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ.

5. სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1. მუხლის 4.1. პუნქტით მოთხოვნილი ანალოგიური გამოცდილების დამადასტურებელი უცხო ენაზე გაფორმებული ხელშეკრულებები, პრეტენდენტს შეუძლია წარმოადგინოს შემოკლებული სახით, რომელიც, მინიმუმ უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

(ა) ხელშეკრულების დამდები მხარეები;

(ბ) ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერილობა, მაგ.:ტექნიკური დავალება ან სხვა მსგავსი დოკუმენტი, საიდანაც ნათლად უნდა იკვეთებოდეს შესყიდვის ობიექტის შინაარსი);

(გ) ხელშეკრულების ღირებულება;

(დ) ხელშეკრულების გაფორმების, სამუშაოების შესრულების ვადები;

(ე) მხარეთა ხელმოწერები.

6. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი არის უცხოური საწარმო ან მისი წარმომადგენლობა/ფილიალი საქართველოში:

6.1. სათაო კომპანიის მიერ გაცემული ნებისმიერი სახის ცნობა ან/და ინფორმაცია დამოწმებული უნდა იყოს სათაო კომპანიის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ (წარმოდგენილი უნდა იყოს ხელისმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი).

6.2. სათაო კომპანიიდან ან/და უცხო ქვეყნიდან მოთხოვნილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლების წარმოდგენის შემთხვევაში, მათი ორიგინალთან (დედანთან) შესაბამისობა დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიულად.

7. უცხოურ ვალუტაში შესრულებული სამუშაოების შემთხვევაში, მათი ღირებულების დაანგარიშება მოხდება ლარებში, სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმების თარიღისთვის, შესაბამისი ვალუტის მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

8. ტენდერში ამხანაგობის მონაწილეობა

8.1. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არის ამხანაგობა, მაშინ მისმა მონაწილეებმა ტექნიკურ დოკუმენტაციაში მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ (შინაარსობრივად), თუ თითოეული მონაწილე კონკრეტულად რომელ ვალდებულებას შეასრულებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N7-ის შესაბამისად.

8.2. ამხანაგობის მონაწილეთა ტექნიკური დოკუმენტაციის სატენდერო პირობებთან შესაბამისობა დგინდება მონაწილის მიერ შესასრულებელი ვალდებულებისადმი დადგენილ მოთხოვნასთან მიმართებით, ამ მუხლის 8.1. პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამასთან, დასაშვებია ამხანაგობის მონაწილეთა ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების დაჯამება, ხოლო არ დაიშვება გამოცდილების შეკრება.

დანართიN7-განაწილება.pdf

2.3 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ?

კი

2.3.1 მიუთითეთ პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. პრეტენდენტს, ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად, უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ლიზინგი, ქირავნობა, თხოვება და ა.შ.), შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალების 1.8 პუნქტით განსაზღვრული ცხრილის 1-დან 13-ის ჩათვლით პოზიციებზე მითითებული დასახელების და რაოდენობის მანქანა-მექანიზმები. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N8-ის შესაბამისად.

2. პრეტენდენტი ვალდებულია, დანართში N8-ში შეტანილი პოზიციების მიხედვით, წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
ა) თითოეული მანქანა-მექანიზმი უნდა იყოს რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი სარეგისტრაციო მოწმობები (მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე დროებით რეგისტრაციაში მყოფი სატრანსპორტო საშუალების შესახებ).
ბ) გარდა საკუთრებისა, ფლობის/სარგებლობის სხვა ფორმების (ლიზინგი, ქირავნობა, თხოვება და ა.შ.) შემთხვევაში, წარმოსადგენია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება/შეთანხმება/განზრახვათა ხელშეკრულება, რომლებიც (გარდა ლიზინგისა) ძალაში უნდა იყოს მინიმუმ 24 თვის ვადით, ტენდერში წინადადების მიღების დამთავრების თარიღიდან (ამასთან, წინამდებარე ტენდერში ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფს სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების ვადის გაგრძელებას მინიმუმ, სამუშაოების შესრულების ვადით); ან/და ლიზინგისა და იჯარის გამცემის/ გამქირავებლის მიერ გაცემული წერილობითი ინფორმაცია (ცნობა ან/და რეკომენდაცია) ხელშეკრულების მიმდინარეობის შესახებ.
გ) ამ მუხლის „ა“,„ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული ფლობის/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტებიდან უნდა იდენტიფიცირდებოდეს, მინიმუმ ტექნიკის დასახელება (ტექნიკური დავალების 1.8 პუნქტით განსაზღვრული ცხრილის 1-დან 13-ის ჩათვლით პოზიციებზე მითითებული შესაბამისი ტექნიკის დასახელების მიხედვით);
იმ შემთხვევაში, თუ ფლობის/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციიდან არ იკვეთება ტექნიკის კონკრეტული დასახელება, დამატებით, სავალდებულოა, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან შესაბამის სფეროში აკრედიტებული საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა, რომელშიც უნდა იკვეთებოდეს აღნიშნული ტექნიკის ფლობის ფორმა და ტექნიკის კონკრეტული დასახელება ტექნიკური დავალების 1.8 პუნქტით განსაზღვრული ცხრილის 1-დან 13-ის ჩათვლით პოზიციებზე მითითებული შესაბამისი ტექნიკის დასახელების მიხედვით.
დ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებით წარდგენილი ნებისმიერი მანქანა-მექანიზმის ჩანაცვლების საკითხი წინასწარ უნდა შეთანხმდეს ზედამხედველთან და შემსყიდველთან წერილობით, ხელშეკრულების დანართი/ შეთანხმების გაფორმების გარეშე. ამ შემთხვევაში, ახალი მანქანა-მექანიზმ(ებ)ი უნდა იყოს თავდაპირველად შემოთავაზებული ტექნიკის ანალოგიური ან გაუმჯობესებული მონაცემების მქონე. საჭიროებიდან გამომდინარე, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს დამატებითი მანქანა-მექნიზმ(ებ)ის მობილიზაცია.

[დანართიN8-მანქანა-მექანიზმები.pdf]

2.4 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ?

არა

2.5 მოითხოვება თუ არა დეტალური ინფორმაცია საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი)?

არა

2.6 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ (გარდა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემებისა)?

არა

2.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებით?

არა

2.8 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ?

არა

2.9 სხვა დამატებითი მოთხოვნები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

1. პრეტენდენტი ვალდებულია, წარმოადგინოს წინამდებარე ტენდერის ტექნიკური დავალებით განსაზღვრული საყრდენი პუნქტების განლაგების სქემა სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N9-ით განსაზღვრული ფორმით. საყრდენი პუნქტი განთავსებული უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N4-ში მოცემულ, N4 ზონაში შემავალ საავტომობილო გზებზე.

2. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებლის მიერ საყრდენი პუნქტ(ებ)ის მდებარეობის შეცვლის საკითხი, წინასწარ უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან. ამ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, წერილობით წარუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით. ახალი საყრდენი პუნქტ(ებ)ის განლაგება უნდა შეესაბამებოდეს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დანართიN9-საყრდენი პუნქტები.pdf

შესყიდვის ობიექტის ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა

3.1 მოითხოვება თუ არა ნიმუშის ან/და ნიმუშის ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა?

არა

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

4.1 მოითხოვება თუ არა სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობა?

კი

4.1.1 მიუთითეთ, კონკრეტულად თუ რა დოკუმენტ(ებ)ით უნდა დაასაბუთოს პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა

1. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან შესაბამისს სფეროში სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. პრეტენდენტმა აღნიშნული დასკვნის ღირებულება უნდა დაფაროს საკუთარი ხარჯებით და უნდა უზრუნველყოს მისი წარმოდგენა ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით.
2. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა უნდა დასტურდებოდეს, პრეტენდენტის მიერ წარგენილ საბოლოო ხარჯთაღრიცხვაში (პრეისკურანტში) დაფიქსირებულ ერთეულის ფასებთან მიმართებით.
3. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტი შედგენილი და გაცემული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 სექტემბრის N439 დადენილებით დამტკიცებული "სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადგენის მეთოდიკის" მოთხოვნების შესაბამისად.

4.1.2 მიუთითეთ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის ვადა

მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში

სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი

5.1 მოითხოვება თუ არა პრეტენდენტის სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი?

კი

5.1.1 მიუთითეთ, თუ რამ განაპირობა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის მოთხოვნის აუცილებლობა

შესყიდვის ობიექტის სპეციფიკისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნა, გამორიცხავს ან/და მინიმუმადე ამცირებს ისეთი გარემოებების არსებობას, რომელიც შეიძლება გახდეს ხელშეკრულების პირობების სათანადოთ შესრულების ხელისშემშლელი ფაქტორი.

5.1.2 მიუთითეთ იურიდიული პირისთვის წაყენებული მოთხოვნები

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას:

(1) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომელშიც, პრეტენდენტის მიმართ, არ უნდა იყოს რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება და პრეტენდენტი არ უნდა იყოს რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში. თუკი პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლით განსაზღვრული საგადასახადო შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია სრულად იმ თანხის გადახდაზე, რომელიც პირს უფიქსირდება აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაში, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების რეგისტრაციის არსებობა დისკვალიფიკაციის საფუძვლად არ იქნება მიჩნეული.
(2) ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ, საიდანაც უნდა იკვეთებოდეს, რომ პრეტენდენტს არ გააჩნია აღიარებული დავალიანება ბიუჯეტის მიმართ (გარდა იმ შემთხვევისა თუ პირს გაფორმებული აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლით განსაზღვრული საგადასახადო შეთანხმება, სრულად იმ თანხის გადახდაზე, რომელიც უფიქსირდება აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაში, რაზედაც პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საგადასახადო შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი).
(3) იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილ სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტებში რეგისტრირებულია სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.2 პუნქტის 1-ელ და მე-2 ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე უფლებრივი შეზღუდვა, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

5.1.3 მიუთითეთ ინდივიდუალური მეწარმისთვის წაყენებული მოთხოვნები

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას:

(1) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომელშიც, პრეტენდენტის მიმართ, არ უნდა იყოს რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება და პრეტენდენტი არ უნდა იყოს რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში. თუკი პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლით განსაზღვრული საგადასახადო შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია სრულად იმ თანხის გადახდაზე, რომელიც პირს უფიქსირდება აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაში, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების რეგისტრაციის არსებობა დისკვალიფიკაციის საფუძვლად არ იქნება მიჩნეული.
(2) ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ, საიდანაც უნდა იკვეთებოდეს, რომ პრეტენდენტს არ გააჩნია აღიარებული დავალიანება ბიუჯეტის მიმართ (გარდა იმ შემთხვევისა თუ პირს გაფორმებული აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლით განსაზღვრული საგადასახადო შეთანხმება, სრულად იმ თანხის გადახდაზე, რომელიც უფიქსირდება აღიარებულ საგადასახადო

დავალიანებაში, რაზედაც პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საგადასახადო შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი).
(3) იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილ სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტებში რეგისტრირებულია სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.3 პუნქტის 1-ელ და მე-2 ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე უფლებრივი შეზღუდვა, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

5.1.4 მიუთითეთ ფიზიკური პირისთვის წაყენებული მოთხოვნები

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას:

(1) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
(2) ცნობა შესაბამისი ადმინისტრაციული დაწესებულებიდან მოვალეთა რეესტრში პირის რეგისტრაციის არარსებობის შესახებ.
(3) იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილ სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტში რეგისტრირებულია 5.1.4 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტში მითითებული უფლებრივი შეზღუდვა, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

5.1.5 მიუთითეთ ამხანაგობისთვის წაყენებული მოთხოვნები

(1) სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.5. პუნქტით გათვალისწინებული სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები შემსყიდველ ორგანიზაციას წარედგინება, როგორც ამხანაგობის, ასევე მისი თითოეული წევრის შესახებ, კერძოდ:

უშუალოდ ამხანაგობისთვის:
ა) შესაბამისად უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან გაცემული დოკუმენტ(ებ)ი რომლითაც უნდა დასტურდებოდეს, რომ პრეტენდენტის მიმართ, არ არის რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება და პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში. თუკი პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლით განსაზღვრული საგადასახადო შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია სრულად იმ თანხის გადახდაზე, რომელიც პირს უფიქსირდება აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაში, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების რეგისტრაციის არსებობა დისკვალიფიკაციის საფუძვლად არ იქნება მიჩნეული.
ბ) ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ, საიდანაც უნდა იკვეთებოდეს, რომ პრეტენდენტს არ გააჩნია აღიარებული დავალიანება ბიუჯეტის მიმართ (გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირს გაფორმებული აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლით განსაზღვრული საგადასახადო შეთანხმება, სრულად იმ თანხის გადახდაზე, რომელიც უფიქსირდება აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაში, რაზედაც პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საგადასახადო შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი).

ამხანაგობის წევრებისთვის:
ა) ამონაწერები მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან; საიდანაც უნდა იკვეთებოდეს, რომ ამხანაგობის წევრების მიმართ არ არის რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება და აღნიშნული პირები არ არიან რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში. თუკი პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლით განსაზღვრული საგადასახადო შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია სრულად იმ თანხის გადახდაზე, რომელიც პირს უფიქსირდება აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაში, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების რეგისტრაციის არსებობა დისკვალიფიკაციის საფუძვლად არ იქნება მიჩნეული.
ბ) ცნობები ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ, საიდანაც უნდა იკვეთებოდეს, რომ ამხანაგობის მონაწილეებს არ გააჩნიათ აღიარებული დავალიანება ბიუჯეტის მიმართ (გარდა იმ შემთხვევისა თუ პირს გაფორმებული აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლით განსაზღვრული საგადასახადო შეთანხმება, სრულად იმ თანხის გადახდაზე, რომელიც უფიქსირდება აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაში, რაზედაც წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საგადასახადო შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი).
გ) იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობის მონაწილე წარმოადგენს არარეზიდენტ პირს, მისი სარეგისტრაციო უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.6 პუნქტისა და მისი ქვეპუნქტების მოთხოვნათა მიხედვით, ხოლო,

წარმომადგენლობის/ფილიალის შემთხვევაში - სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.7. პუნქტის მიხედვით.

(2) იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობის, ან/და მისი რომელიმე წევრ(ებ)ის მიერ წარდგენილ სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტებში რეგისტრირებულია 5.1.5 პუნქტის შესაბამის ქვეპუნქტებში გათვალისწინებული რომელიმე უფლებრივი შეზღუდვა, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

5.1.6 მიუთითეთ არარეზიდენტი პირისთვის წაყენებული მოთხოვნები

(1) არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას:
ა) პრეტენდენტის, როგორც მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ.:ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან) რომელიც უნდა შეიცავდეს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას:
- საფირმო სახელწოდება;
- სამართლებრივი ფორმა;
- საიდენტიფიკაციო ნომერი;
- რეგისტრაციის ნომერი/თარიღი;
- მარეგისტრირებელი ორგანო;
- იურიდიული მისამართი;
- ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები.
ბ) დოკუმენტ(ებ)ი, რომლითაც დადასტურდება, რომ პრეტენდენტის მიმართ, არ არის რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება და პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში.
გ) ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ, საიდანაც უნდა იკვეთებოდეს, რომ პრეტენდენტს არ გააჩნია აღიარებული საგადასახადო დავალიანება ბიუჯეტის მიმართ.
დ) პრეტენდენტის სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს თავისი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო(ები)დან, დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მათ თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. იმ შემთხვევაში, თუ არარეზიდენტი იურიდიული პირის რეგისტრაციის ქვეყანაში არ ხდება ზემოაღნიშნული რომელიმე მონაცემის/ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის გაცემა, აღნიშნულის დასადასტურებლად პრეტენდენტმა, უნდა წარმოადგინოს თავისი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან წერილობითი დოკუმენტი, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მათ თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

(2) არარეზიდენტი ფიზიკური პირის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას:
ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) ცნობა შესაბამისი ადმინისტრაციული დაწესებულებიდან მოვალეთა რეესტრში პირის რეგისტრაციის არარსებობის შესახებ.
გ) პრეტენდენტის სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს თავისი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო(ები)დან, დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მათ თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. იმ შემთხვევაში, თუ არარეზიდენტი იურიდიული პირის რეგისტრაციის ქვეყანაში არ ხდება ზემოაღნიშნული რომელიმე მონაცემის/ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის გაცემა, აღნიშნულის დასადასტურებლად, პრეტენდენტმა, უნდა წარმოადგინოს თავისი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი, ადმინისტრაციული ორგანოდან წერილობითი დოკუმენტი, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მათ თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

(3) თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილ სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტ(ებ)ში რეგისტრირებულია 5.1.6 პუნქტის შესაბამის ქვეპუნქტებში გათვალისწინებული რომელიმე უფლებრივი შეზღუდვა, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

5.1.7 მიუთითეთ წარმომადგენლობისთვის/ფილიალისთვის წაყენებული მოთხოვნები

იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი არის უცხოური საწარმოს წარმომადგენელი/ფილიალი საქართველოში, იგი ვალდებულია წარმოადგინოს, როგორც თავისი, ასევე სათაო კომპანიის სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.2 პუნქტის (1) და (2) ქვეპუნქტებისა და სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.6 პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად. ამასთან, თუ წარმომადგენლობის/ფილიალის ან/და სათაო კომპანიის სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტებში რეგისტრირებულია 5.1.2 ან/და 5.1.6 პუნქტების შესაბამის ქვეპუნქტებში გათვალისწინებული რომელიმე უფლებრივი შეზღუდვა, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

6.1 მიუთითეთ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა - (2 %-დან 5 %-ის ჩათვლით)

5 პროცენტი

ჩაწერა

6.2 მიუთითეთ სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში გარანტიის ოდენობა - (2 %-დან 10 %-ის ჩათვლით)

10 პროცენტი

ჩაწერა

6.3 მიუთითეთ გარანტიის მოქმედების ვადა

ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

6.4 მიუთითეთ გარანტიის პირობები

1. გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულებიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული, დანართი N6-ში მოცემული პირობების შესაბამისად;
2. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებამდე ერთობლივი შესყიდვის განმახორციელებელ თითოეულ შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ცალ-ცალკე, თითოეულისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული, შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულების შესაბამისად;
3. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიასთან დაკავშირებული სხვა პირობები განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების პროექტით.

ანგარიშსწორების პირობები

7.1 გამოიყენება თუ არა წინასწარი ანგარიშსწორება?

კი

7.1.1 მიუთითეთ წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობა და პირობები

1. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა წინასწარი ანგარიშსწორების თანხის (შემდგომში - ავანსი) გადახდის თაობაზე.
2. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე, თუ იგი

რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა ან/და ყადაღა. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება მის მიმართ ამ პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებების რეგისტრაციის არარსებობა.

3. მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი მოთხოვნის წარდგენის მიუხედავად, შემსყიდველი უფლებამოსილია, არ დააკმაყოფილოს მიმწოდებლის თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულების ღირებულების 20% ან მეტი.

4. შემსყიდველის მიერ ავანსის გადახდასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულების მიერ (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) გაცემული, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გადასახდელი ავანსის დაქვითვამდე.

5. მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ს.

6. საავანსო ანგარიშსწორების გარანტიის გამოყენების/დაკავების პირობები განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების პროექტით.

შენიშვნა: წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებულია მხოლოდ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელშეკრულების პროექტით.

7.2 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

1. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

2. ანგარიშსწორების მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია, ყოველ თვე შემსყიდველს წარუდგინოს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მთლიანი ღირებულება (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით) საანგარიშო პერიოდისა და ნაზარდი ჯამის მითითებით.

3. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება ხორციელდება ყოველთვიურად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოებისა და შემსყიდველის მიერ დასახელებული ზედამხედველის (შემსყიდველის მიერ ზედამხედველის დასახელება მოხდება, სამუშაოების დაწყების თაობაზე, მიმწოდებლისათვის გაცემულ წერილობით დავალებაში)(შემდგომში - ზედამხედველი) მიერ დადასტურებული მოცულობების მიხედვით. მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) გაფორმების, შემსყიდველის მიერ გადახდის სერთიფიკატისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიმწოდებლის სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს შუალედური გადახდები მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად შემსყიდველისათვის წარდგენილი მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

5. ანგარიშსწორებასა და მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებული სხვა პირობები განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების პროექტით.

7.3 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები(სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციაა ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე)

ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული დოკუმენტების სრულყოფილად გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ხელშეკრულების პროექტი

8.1 ატვირთეთ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პროექტი 1;2..pdf

საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია

9.1 მიუთითეთ სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები

ლევან ყანდაშვილი, 595517976, levan.kandashvili@georoad.ge

დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

10.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – „სისტემა“) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული "ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად;

2. ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე, რომელშიც, თარგმანის სისწორე ან/და მთარგმნელის ხელმოწერის ნამდვილობა დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიული წესით;

3. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტები და/ან ინფორმაცია უნდა იქნას ელექტრონულად ხელმოწერილი შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ ან დამოწმებული კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ: პრეტენდენტი, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე ვალდებულია, სახელმწიფო შესყიდვებში ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთ ელექტრონულ დოკუმენტებზე შეასრულოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და ეს დოკუმენტები დაამოწმოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპით (იხ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები). იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი, პრეტენდენტმა სისტემაში უნდა წარმოადგინოს ხელისმომწერი პირის ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა;

4. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ ტექნიკური დოკუმენტაციის სახით წარმოდგენილი დოკუმენტ(ებ)ი შედგენილია და მხარეთა მიერ ხელმოწერილია ელექტრონულად, პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს აღნიშნული ელექტრონული დოკუმენტ(ებ)ის ორიგინალი ეგზემპლარ(ებ)ი, ან მისი დამოწმებული ამონაბეჭდი, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;

5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად;

6. პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება;

7. სატენდერო წინადადებაში ფასები გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით. პრეტენდენტი ვალდებულია ხარჯთაღრიცხვაში (პრეისკურანტი) მითითებული ერთეულის ფასები გამოსახოს და შესაბამისად გაინაგარიშოს ლარის მეასედის - თეთრების სიზუსტით (მძიმის შემდეგ ორი ციფრი);

8. პრეტენდენტმა ელექტრონული ვაჭრობა უნდა განახორციელოს პრეისკურანტის სავარაუდო ჯამურ ღირებულებაზე 60 059.95 ლარზე;

9. სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1–ში პრეტენდენტის მიერ მითითებული სამუშაოს ერთეულის ფასები (გრაფა №5) არ უნდა აღემატებოდეს შესაბამის პოზიციებზე შემსყიდველის მიერ მითითებულ სავარაუდო ფასებს (გრაფა N4);

10. პრეტენდენტმა, საბოლოო პრეისკურანტის წარმოდგენისას, პრეისკურანტის თითოეულ პოზიციაზე ფასის კლება უნდა განახორციელოს, მინიმუმ, პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებასა და პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებულ პრეისკურანტის საბოლოო ღირებულებას შორის არსებული %-ლი სხვაობის მიხედვით, შემსყიდველის მიერ სისტემაში ატვირთულ პრეისკურანტში (დანართი N1) განსაზღვრულ ფასებთან მიმართებაში;

11. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება დაიდება 8 697 600 ლარზე; შესყიდვაში მონაწილე თითოეული შემსყიდველი ორგანიზაცია გამარჯვებულ პრეტენდენტთან გააფორმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას ინდივიდუალურად. ხელშეკრულების ღირებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის შეადგენს - 8 500 000 (რვა მილიონ ხუთასი ათასი) ლარს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტისთვის - 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს, გარდაბნის მუნიციპალიტეტისთვის - 40 000 (ორმოცი ათასი) ლარს, მცხეთის მუნიციპალიტეტისთვის - 67 600 (სამოცდაშვიდი ათას ექვსასი) ლარს და დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის - 40 000 (ორმოცი ათასი) ლარს;

12. სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან (დაზუსტების გარეშე), თუ არ იქნება წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციის 1.3 პუნქტით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვა (პრეისკურანტი) ან ის წარმოდგენილი იქნება

განუფასებლად (გარდა იმ შემთხვევისა, თუ წარდგენილ ხარჯთაღრიცხვაში (პრეისკურანტში) განუფასებელი პოზიცი(ებ)ის რაოდენობა არ აღემატება განსაფასებელი პოზიციების 1%-ს);

13. მიმწოდებელმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა შეასრულოს, მინიმუმ, ტექნიკური დავალებით განსაზღვრული დასახელებისა და რაოდენობის მანქანა-მექანიზმებით. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს მიმწოდებლის მიერ, ვალდებულების შესრულების კონტროლი;

14. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს სამუშაოების განმახორციელებელი პერსონალის ზედამხედველთან შეთანხმება, შესაბამისი პერსონალის სახელის, გვარის, დაკავებული პოზიციის მითითებით. ზედამხედველი უფლებამოსილია მიმწოდებელს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია მიმწოდებლის პერსონალთან დაკავშირებით. მიმწოდებელი ვალდებულია შეთანხმებული პერსონალის ცვლილების შესახებ აცნობოს ზედამხედველს.

- დანართიN4-ლოკაციები, გზები.pdf
- დანართიN5-ადგილობრივი გზები.pdf
- დანართიN6-გარანტია.pdf
- შეთანხმება - ერთობლივ შესყიდვაზე (ზონა N4).pdf

სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

11.1 ატვირთეთ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი